ილიაუნისთვის ავტორიზაციის მინიჭება მონიტორინგის პირობით უკანონოა და პოლიტიკური შევიწროების მიზანს უფრო ისახავს

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭება მონიტორინგის პირობით უკანონო და დაუსაბუთებელია, რაც მთავრობის მიერ უნივერსიტეტის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის სერიოზულ რისკებს აჩენს. მზარდი ავტორიტარული ტენდენციებისა და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და კულტურული სივრცეების შევიწროების საერთო კონტექსტში, ჩნდება ვარაუდი, რომ ხელისუფლება დამოუკიდებელი უნივერსიტეტების შევიწროებას გეგმავს და მათ კრიტიკული სამოქალაქო პოზიციების გამო სჯის.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ილიაუნის საქმეზე

2024 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ (*შემდგომში* საბჭო) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 6 წლის ვადით ავტორიზაცია მიანიჭა, თუმცა, დამატებით მოთხოვნად ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენა განუსაზღვრა. [1] ამასთან, ავტორიზაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშის შეფასება განხორციელდეს გეგმური მონიტორინგის ფარგლებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობა ძალიან დადებითად შეაფასა ავტორიზაციის სტანდარტებთან (ქვესტანდარტებთან) დაკავშირებული სფეროების დიდ უმეტესობაში. კონკრეტულად, შვიდივე სტანდარტი შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ასევე, გამოიკვეთა კარგი პრაქტიკის მაგალითი. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ერთი რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტი დააკვირდეს და მყისიერად მიჰყვეს საკანონმდებლო ცვლილებებს, თუმცა დასკვნაშივე მიუთითა, რომ ეს ცვლილებები არ ახდენს გავლენას უნივერსიტეტის საერთო შეფასებაზე, რაც ძალიან დადებითი იყო.

უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საერთაშორისო ექსპერტმა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ: *„ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაწესებულების მიმართ გაიცა ერთი რეკომენდაცია, რაც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტებმა გამოავლინეს საუკეთესო პრაქტიკა, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია, ასევე, მოცემულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაცია უნდა მიენიჭოს.*

---

[1] შენიშვნა: საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, თუმცა, განსხვავებული ფორმულირება გვხვდება ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში, სადაც წერია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით, **რაც თავის მხრივ, ოქმსა და გადაწყვეტილების ტექსტებს შორის ფაქტობრივ უზუსტობაზე და გადაწყვეტილების მიღების დროს შექმნილ ბუნდოვან და დაძაბულ კლიმატზე მიანიშნებს.**

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი სრულებით დაეთანხმა კოლეგის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ: *„ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო პოზიტიური და მასში ასახული იყო უნივერსიტეტის ძლიერი და გასავითარებელი მხარეები“.*

ავტორიზაციის ერთ-ერთი ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით გარკვეული რჩევები წარმოადგინა. ამასთან, ექსპერტებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ინსტიტუცია დიდ სამუშაოს ეწევა, ამიტომ ის კომპონენტები, **რომლებიც ავტორიზაციის მეშვიდე სტანდარტის ფარგლებში რჩევის სახით გასცეს, არ განიხილეს, როგორც რეკომენდაცია**.

მიუხედავად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასებისა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ავტორიზაციის საბჭოს მოსაზრებით, ავტორიზაციის სტანდარტის ცალკეულ კომპონენტებში ნაცვლად – „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, უნდა შეფასებულიყო როგორც – „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ეს შეფასება დაეფუძნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის კომპონენტში დაფიქსირებული „რჩევის“ შინაარსს, რომელიც საბჭოს შეფასებით შინაარსობრივად უფრო მეტად იყო რეკომენდაცია, ვიდრე რჩევა. ავტორიზაციის საბჭომ ეს შეფასება გააკეთა მიუხედავად იმისა, რომ თავად ექსპერტებმა ექსპლიციტურად განაცხადეს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გაცემული რჩევები, რეკომენდაციის შინაარს არ ატარებდა და მხოლოდ რჩევა იყო.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს და მის გასაჩივრებას კანონით დადგენილი წესით შესაბამის ინსტანციებში გეგმავს.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შეუსაბამობა კანონთან

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ავტორიზაციის საბჭო უმაღლესი დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის, ავტორიზაციაზე უარის და ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. კანონმდებლობა ე.წ „პირობითი ავტორიზაციის“ ტერმინს არ იცნობს, თუმცა განათლების მინისტრის ბრძანება აზუსტებს, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაშიც საბჭო უფლებამოსილია ავტორიზაციის შესახებ დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს; ასევე, ის უფლებამოსილია მიიღოს დაწესებულების ავტორიზაციის გადაწყვეტილება და მიმართოს ცენტრს შუამდგომლობით დაწესებულების მონიტორინგის შესახებ, ან მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულების ავტორიზაციისა და მისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ, ან უარი უთხრას ავტორიზაციაზე. *ამდენად, საბჭო უფლებამოსილია, რომ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დასკვნა მიიღოს ცნობად, ან მიმართოს ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით, ავტორიზაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად.*

.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი ავტორიზაციის საბჭო ილიას უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშს ცნობად არ მიიღებს, უნივერსიტეტი კვლავ გაივლის ავტორიზაციას ზოგად ავტორიზაციის სტანდარტებთან და საბჭო უნივერსიტეტთან მიმართებით ხელახალი შეფასების ფარგლებში უფლებამოსილი იქნება

მიიღოს ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი, მათ შორის – გაუუქმოს უნივერსიტეტს ავტორიზაცია.[2]

ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტი შესაბამის სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს, მეტიც, ექსპერტების აზრით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია. ექსპერტებმა უნივერსიტეტს მხოლოდ ტექნიკური რჩევები მისცეს, როგორიც იყო მაგალითად, უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და პორტალის ინგლისურ ენაზე თარგმანის დახვეწა, ზოგიერთ სკოლაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ თანამშრომლებს შორის თანაფარდობის გაუმჯობესება.

მნიშვენელოვანია განიმარტოს, რომ რჩევა არის არასავალდებულო სახის შეთავაზებები, რეკომენდაციები არის სავალდებულო, და ნიშნავს რომ უნივერსიტეტმა ის უნდა შეასრულოს იმისთვის, რომ სტანდარტთან მოვიდეს შესაბამისობაში. ამის მიუხედავად, საბჭომ დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის ზემოაღნიშნული რჩევები ყოველგვარი ახსნის გარეშე რატომღაც რეკომენდაციად გადააკვალიფიცირა და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტის ცალკეულ კომპონენტებში ნაცვლად – „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, უნდა შეფასებულიყო როგორც – „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ამასთან აღსანიშნავია რომ ექსპერტთა მიერ გაკეთებული რჩევები მექანიკურად არის გადატანილი რეკომენდაციებში და მათ შორისა, გადატანილია ისეთი რჩევები, რომელიც უნივერსიტეტის მიერ უკვე შესრულებულია. შესაბამისად, ამგვარი საკითხის რეკომენდაციად შეცვლა და სტანდარტის შესაბამისობის დონის ამის საფუძველზე დაწევა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას არალოგიკურს და მიკერძოებულს ხდის.

ასევე გაუგებარია, საიდან გაჩნდა რეკომენდაცია, რომ "უნივერსიტეტში გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც გამოიწვევს აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესებას აფილირებული აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ." მაშინ როცა აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა არ არის წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნაში და ასევე არ ყოფილა განხილული საბჭოს სხდომაზე. გაუგებარია, რა ინდიკატორი გამოიყენა საბჭომ აღნიშნული რეკომენდაციის გასაკეთებლად, და ასევე მნიშვნელოვანია გაირკვეს საბჭოს მიერ ამ საკითხის დასმის თანმიმდევრულობა ყველა სხვა უსდ-სთან დაკავშირებით.

სხდომის ოქმში არათუ არ არის მოცემული ექსპერტთა მიერ შემუშავებული რჩევების რეკომენდაციებში გადატანის საფუძველი, არამედ პრობლემურია ის, რომ არასავალდებულო ხასიათის რჩევები იმ სავალდებულო რეკომენდაციებად ქცევა, რომლებიც ავტორიზაციის სტანდარტით არ მოითხოვება. ცხადია, რომ ეს მიდგომა ავტორიზაციის საბჭოს კანონიერი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და უნივერსიტეტის ავტონომიურობის დარღვევის ნიშნებს ქმნის. მაგალითად, ექსპერტთა რჩევა "სასურველია, რომ სამართლის სკოლას, სრული და ასოცირებული პროფესორების გარდა, ჰყავდეს აგრეთვე დაბალი თანამდებობის აკადემიური პერსონალი (ასისტენტები), რათა უზრუნველყოთ პროგრამების უწყვეტობა და მდგრადობა და დარგის პროფესიონალების ზრდა" საბჭომ სავალდებულო რეკომენდაციით შეცვალა. ეს უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკაში უხეში ჩარევაა, რადგან უნივერსიტეტი თავისი საჭიროებებიდან და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ აკადემიურ პოზიციაზე აიყვანს კადრებს. ილიას უნივერსიტეტის აკადემიური

[2] იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების 79-ე , 79[1], 80 მუხლები

პერსონალი, მიუხედავად მათი აკადემიური პოზიციისა, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და კვალიფიციურია ქვეყნის მასშტაბით და პროგრამას ამ თვალსაზრისით მდგრადობის საფრთხე არ ემუქრება.

ამდენად, მიღებული გადაწყვეტილებით, ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებით, საბჭომ არსებითად შეცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, რისი პირდაპირი უფლებამოსილებაც მას კანონით არ გააჩდა. საკუთარი უფლებამოსილების ისეთი ფართო განმარტება კი, რომელიც ავტორიაზაციის საბჭოს შესაძლებლობას მისცემს ექსპერტთა მიერ წარდგენილი დასკვნა შეცვალოს და არ გაითვალისწინოს ექსპერტების მიერ, მათ შორის, ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტაცია, ზიანს აყენებს ექსპერტთა ჯგუფის კომპეტენციასა და დამოუკიდებლობას და ეჭვებს აჩენს ავტორიზაციის საბჭოს მიუკერძოებლობაზე.

აღსანიშნაცია, რომ ამგვარი მიკერძოებული მიდგომის რისკებს ქმნის თავად ავტორიაზაციის პროცესის ინსტიტუციური მოდელი, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილებას პრემიერ-მინისტრს აძლევს და პროცესის პოლიტიზირების ძალიან მაღალ რისკებს შეიცავს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წესი და მისი პოლიტიზირების რისკები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის არსებული მეთოდი, განსაკუთრებით კი – ავტორიზაციის საბჭოს მუდმივი და მოწვეული წევრების პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშვნის და გათავისუფლების წესი,[3] ავტორიზაციის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის შესახებ საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის.

- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა საბჭო**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“[4] ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, *„ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი). ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს“.*

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში უსდ) ავტორიზაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად

---

[3] უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, მუხლი 56[2], პუნქტი 2[1].

[4] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ქმნის **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს.** ექსპერტთა ჯგუფის ფორმირებისას მხედველობაში მიიღება ბოლონიის პროცესში შემუშავებული რეკომენდაციები, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტი, საერთაშორისო ექსპერტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

უნივერსიტეტების ავტორიზაციის პროცესი საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებით ხდება – 7 სტანდარტით და 23 ქვესტანდარტით, რაც გულისხმობს ყველაფრის შეფასებას, უნივერსიტეტის მისიიდან დაწყებული ინფრასტრუქტურით დამთავრებული. ფასდება სასწავლო პროგრამები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, კვლევითი საქმიანობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები.

ექსპერტების შეფასება ქმნის ავტორიზაციის გადაწყვეტილების საფუძველს, რომელსაც იღებს ავტორიზაციის საბჭო. ექსპერტების დასკვნა უნდა ემსახურებოდეს ინსტიტუციისთვის იმგვარი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც სამომავლოდ დაეხმარება დაწესებულებას კონსოლიდირებასა და განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და უნივერსიტეტში საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ აფასებს უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას. კერძოდ, უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალის საშუალებით: 1. „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, 2. „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, 3. „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და 4. „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

უსდ „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

უსდ „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დაწესებულება ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები და დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, დაწესებულებას აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 წელი) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსები. [5]

[5] იქვე მუხლი 71

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი წარედგინება ცენტრს და ის აღწერს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან.

- **უსდ-ს ავტორიზაციის საბჭო**

ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელიც შედგება მუდმივი წევრებისა და მოწვეული წევრებისაგან. ავტორიზაციის საბჭოს მუდმივ წევრებსა და მოწვეულ წევრებს სამინისტროს წარდგინებით 2 წლის ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამასთან, პრემიერ-მინისტრს ნებისმიერ დროს შეუძლია საბჭოს წევრების შეცვლა და მათი თანამდებობიდან გადაყენება, რაც, რა თქმა უნდა, ავტორიზაციის საბჭოს წევრების ხშირი ცვლილების და დამოუკიდებლობის ნაკლებ გარანტიებს გულისხმობს. ამასთან, კანონმდებლობა არ ზღუდავს ავტორიზაციის საბჭოს ზედიზედ რამდენიმე ვადით დანიშვნის შესაძლებლობას, რაც პრემიერ-მინისტრს შესაძლებლობას აძლევს, 2 წლიანი ვადის ამოწურვის შემთხვევაში ავტორიზაციის საბჭოს წევრს სურვილისამებრ განუსაზღვრელი ვადით გაუგრძელოს ვადა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.[6]

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. თითოეული სტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ოთხდონიანი სკალის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. თუ საბჭოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

ა) ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ერთზე მეტ სტანდარტთან მიმართებით *შეფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და ყველა სხვა სტანდარტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“*, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. [7]

რეკომენდაციების შესასრულებლად დამატებითი ვადის განსაზღვრისა და შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის შესახებ გადაწყვეტილებას საბჭო ბრძანების

---

[6] იქვე მუხლი 74

[7] იქვე მუხლი 79

საფუძველზე, სწორედ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს.

- **ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი**

ავტორიზაციის მაძიებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო საბჭოში, **თუმცა სააპელაციო საბჭოს წევრებსაც სამინისტროს წარდგინებით ორი წლის ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რაც ავტორიზაციის საბჭოს მსგავსად მისი დამოუკიდებლობის შესახებ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს.** ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტების ინსტიტუციური ავტონომია დემოკრატიულ სახელმწიფოში

აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური ავტონომია ურთიერთდამოკიდებული გარანტიებია. გამოხატვის თავისუფლების ქუდის ქვეშ დაცული აკადემიური თავისუფლებით სარგებლობისთვის აუცილებელია კრიტიკული ცოდნის/ანალიზის გავრცელების ხელშემწყობი ინსტიტუციური გარემო, რომელიც გამორიცხავს „მსუსხავი ეფექტის“ მქონე ინსტიტუციურ მოწყობას, წესებსა და პრაქტიკებს. მეორე მხრივ, აკადემიური თავისუფლების ინდივიდუალური შეზღუდვები თავისი „მსუსხავი ეფექტით“ აზიანებს უნივერსიტეტების ინსტიტუციურ ავტონომიასაც.

ამ მჭიდრო კავშირს გამოხატვის და აკადემიურ თავისუფლებებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ ავტონომიას შორის ცნობს გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი,[8] გაეროს სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე,[9] ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო[10] და ვენეციის კომისია.[11] ევროპული სასამართლოს მოსამართლეები ამ კავშირის აღიარების მნიშვნელობაზე საუბრობენ ისეთ საქმეზეც, რომელიც არა ინსტიტუციურ პრობლემას, არამედ უნივერსიტეტის პროფესორისთვის სასამართლო ხელისუფლების კრიტიკისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობას ეხება.[12] მეტიც, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი, აკადემიური თავისუფლების განუყოფელ ნაწილად ხედავს უმაღლესი დაწესებულებების

---

[8] გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი 13, E/C.12/1999/10, პარა 40.

[9] გამოხტვის თავისუფლების დაცვასა და ხელშეწყობაზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის [David Kaye] ანგარიში, 28 ივლისი, 2020, პარა. 9, 11.

[10] C-66/18, *Commission v. Hungary*, 6 ოქტომბერი 2020, პარა. 2026-228.

[11] ვენეციის კომისიის დასკვნა CDL-AD(2017)022, 9 ოქტომბერი 2017, პარა. 11-19.

[12] მოსამართლეების [Sajó, Vucinic, Kuris] მოსაზრება საქმეზე *Mustafa Erdogan v Turkey*, No. 346/04 and 39779/04, 27 მაისი 2014.

ინსტიტუციურ გარანტიებს.[13]

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით დაცული განათლების უფლება (მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი) პირდაპირ ეხება საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ ავტონომიას. ამ უფლების განმარტებისას, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი უთითებს, რომ უნივერსიტეტების საჯარო ანგარიშვალდებულების მექანიზმები დაბალანსებული უნდა იყოს ისე, რომ მათ ავტონომიას საფრთხე არ შეექმნას, კერძოდ, მათ დარჩეთ შიდა აკადემიურ საკითხებზე დამოუკიდებელი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის აუცილებელი თვითმმართველობის სივრცე.[14]

მართალია, ამ დრომდე ევროპულ სასამართლოს აკადემიური თავისუფლებისთვის აუცილებელ ინსტიტუციურ გარანტიებზე გამოხატვის თავისუფლების ჭრილში არ უმსჯელია, თუმცა, განათლების უფლებაზე[15] (კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) განხილულ საქმეებში მას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ინსტიტუციური განზომილება. სასამართლოს განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წვდომა გულისხმობს ინდივიდუალურ უფლებას, მიღებული განათლების ოფიციალურ აღიარებაზე,[16] ამ კუთხით შექმნილი დაბრკოლებები კი დაშვებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განჭვრეტადია, ლეგიტიმური მიზანი გააჩნია, დასაბუთებული და პროპორციულია. [17] ევროპული სასამართლო, ზოგადად, სამართლებრივი სტატუსის მინიჭების პროცესში ობიექტური გადაწყვეტილებებისთვის საჭირო ინსტიტუციურ სტანდარტებსაც აყალიბებს[18] , რომლებიც ანალოგიით ავტორიზაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესზეც გავრცელდება. ეს სტანდარტები გულისხმობს, რომ ავტონომიის რეალიზებისთვის უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსიც დამოუკიდებელი ორგანოს ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს. ავტორიზაციის საბჭო ვერ ჩაითვლება აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ ორგანოდ, როდესაც მისი წევრების დანიშვნა და გათავისუფლება პრემიერ-მინისტრის შეუზღუდავი დისკრეციაა.

უმაღლესი დაწესებულებების ავტონომიის სტანდარტებს უშუალოდ ხარისხის კონტროლის კონტექსტში უფრო დეტალურად განიხილავენ გაეროს და ევროსაბჭოს ორგანოები. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2007 წელს გამოცემული რეკომენდაცია უთითებს, რომ ხარისხის კონტროლის მექანიზმები უნდა ეყრდნობოდეს ნდობას, ითვალისწინებდეს ხარისხის განვითარების შიდა პროცესებს, ტოვებდეს სივრცეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებისთვის და შეესაბამებოდეს წინასწარ შეთანხმებულ პრინციპებს.[19] ამავე საკითხზე 2012 წელს გამოცემული ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის

---

[13] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)7, პარა. 5.

[14] გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი 13, E/C.12/1999/10, პარა 40.

[15] განათლების უფლება მოიცავს მოქმედ უმაღლეს დაწესებულებებზე წვდომის გარანტიებსაც, იხ. *Leyla Şahin v. Turkey* [GC], 44774/98, 10/11/2005, §§ 134 and 136. *Tarantino and Others v. Italy*, no. 25851/09, 02/04/2013, §43.

[16] „განათლების უფლების ეფექტური რეალიზებისთვის, აუცილებელია პირს შეეძლოს მიღებული განათლებისგან სარგებლის მიღება, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ფორმით და სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მიღებული განათლების აღიარების უფლებას“. იხ.*Belgian Linguistics Case*, no. 1474/62, 03/10/1972, I.B.4.

[17] *Leyla Şahin v. Turkey* [GC], § 154.

[18] Magyar Keresztény Mennonita Egyház and others v. Hungary, no. 70945/11, 8.04.2014, § 102.

[19] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2007)6, პარა 12.

რეკომენდაცია იმეორებს, რომ ხარისხის კონტროლის მექანიზმი მორგებული უნდა იყოს უნივერსიტეტების ავტონომიის საჭიროებებთან, კერძოდ, მას უნდა ჰქონდეთ მოქნილი და გონივრული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს უმაღლესი დაწესებულებების მიერ ავტონომიურად განსაზღვრული მისიისა და პრიორიტეტების რეალიზებას.[20]

იუნესკოს 1997 წლის რეკომენდაციაც უნივერსიტეტების ავტონომიის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე [21] უთითებს სტანდარტზე, რომლის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების მექანიზმები უნდა იყოს მკაფიო, მარტივი, მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული და სამართლიანი. [22] იუნესკოს მიერ 2008 წელს გამოცემული სახელმძღვანელო უფრო კონკრეტულ მითითებებსაც იძლევა უშუალოდ ხარისხის კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის შესახებ. *საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით, იუნესკო ადგენს სტანდარტს, რომლის თანახმად, აკრედიტაციის განმახორციელებელი ორგანოები ან სრულად დამოუკიდებელი უნდა იყვნენ სახელმწიფოსგან ან სახელმწიფო სტრუქტურაში დამოუკიდებელი შუალედური რგოლის ფუნქციას ითავსებდნენ.* მეტიც, იუნესკოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, *სააგენტოს უფლებამოსილება საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის პროცესში პროცედურული საკითხებით უნდა შემოიფარგლებოდეს, საბოლოოდ პროფესიულ დასკვნაზე პასუხისმგებელი კი მხოლოდ კოლეგებით დაკომპლექტებული ექსპერტთა ჯგუფი [peer team] უნდა იყოს.* [23] ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების გარე ზეგავლენისგან დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე საუბრობს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციაც (ENQA), რომელიც უთითებს, მათ შორის, მოწვეული ექსპერტების პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფლებაზეც.[24]

სავარაუდო პოლიტიკური ინტერესები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეში

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესში მხედველობაში იღებს ბოლონიის პროცესის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მათ შორის, პირდაპირ ითვალისწინებს, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG), ავტორიზაციის საბჭომ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შეფასებისას სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები და გადაწყვეტილება ექსპერტთა ჯგუფის შეფასების უგულებელყოფის გზით მიიღო. ცხადია, რომ ეს გადაწყვეტილება, ავტორიზაციის საბჭოს წევრების პრემიერ-მინისტრის მხრიდან დანიშვნის ფონზე, აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს, რომ შესაძლოა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ დაკავებული კრიტიკულ პოზიციებს უკავშირდება.

ამის ნათელი მაგალითია სხვა უნივერსიტეტების შეფასების პროცესზე დაკვირვება და შედარება. ავტორიზაციის საბჭოს ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებების ანალიზი აჩვენებს, რომ საბჭოს განსხვავებული და უფრო ლოიალური მიდგომა ჰქონდა,

[20] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)7, პარა 13, 21.
[21] UNESCO Recommendation concerning the Status of Higher-Education Teaching Personnel (1997), პარა 17.
[22] იგივე, პარა 23.
[23] Gudmund Hernes and Michaela Martin (eds), Accreditation and The Global Higher Education Market (UNESCO 2008), პარა 50-55.
[24] Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ENQA 2005), გვ. 25.

მაგალითად, აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტების შეფასებასთან მიმართებით, სადაც საბჭომ ექსპერტების მიერ მითითებული რეკომენდაციები, *პირიქით,* რჩევაში გადაიტანა და მიიჩნია, რომ ეს არ იყო რეკომენდაცია. ასევე, 2021 წელს, როდესაც ვებსტერის უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა, უნივერსიტეტი, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, 7 კომპონენტიდან ოთხში საერთოდ არ შეესაბამებოდა კანონით მოთხოვნილ სტანდარტს.[25]

იმას, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უკან, შესაძლოა, პოლიტიკური დაინტერესება იდგეს, ადასტურებს „ქართულ ოცნების" ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების ბოლოდროინდელი განცხადებებიც.

გაზაფხულის პროტესტებთან კავშირში ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მათი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება განათლების ფუნდამენტური რეფორმის გატარება იქნება, რომელიც განათლების სისტემაზე პოლიტიკურ გავლენებს შეამცირებს. მისი თქმით, *„საბოლოოდ, ერთ-ერთი მთავარი სისტემა, რაც მოირგეს საკუთარ თავზე წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა იყო განათლების სისტემა [...] საზოგადოებას შევთავაზებთ რეფორმას, რომლის საფუძველზეც 4 წლის თავზე ჩვენ გვექნება თვისობრივად განსხვავებული ინფრასტრუქტურა, სადაც სტუდენტებს ექნებათ ინტერესების რეალიზების 10-ჯერ უკეთესი შესაძლებლობა... ნაცვლად იმისა, რომ უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება ემსახურებოდეს ვიღაცის პოლიტიკურ ინტერესებს, თავიდან ბოლომდე ორიენტირებული იქნება მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებაზე".*

ილიას უნივერსიტეტი ერთ-ერთი იყო იმ საჯარო უნივერსიტეტებს შორის, რომელმაც ხელი არ მოაწერა რექტორთა განცხადებას, რომელიც რუსულ კანონთან დაკავშირებით სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების აკადემიურ ბოიკოტს ეხმიანებოდა. განცხადგანათლების განვითარების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა ებაში ეწერა, რომ „ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი აკადემიური სივრცის მიღმა უნდა დარჩეს" და რომ „მიუღებელია, რომ აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი უარს აცხადებს საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე". აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციების დროს განცხადება გააკეთა და უნივერსიტეტები მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებისას გაფიცვის შემთხვევაში მოსალოდნელ საფრთხეებზე გააფრთხილა. თუკი ეს ვალდებულებები არ შესრულდებოდა, ცენტრი უნივერსიტეტებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებში პრობლემების შექმნის საფრთხეზე აფრთხილებდა.

მოგვიანებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ ახსენა უნივერსიტეტების საკითხი და მხარდაჭერის ინტერესი მხოლოდ 2 დაწესებულების მიმართ გამოხატა. უფრო ზუსტად, 6 სექტემბერს ირაკლი კობახიძემ ქუთაისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (KIU), განაცხადა, რომ საქართველოში ორი განსაკუთრებული საგანმანათლებლო კერა უნდა არსებობდეს: *„ჩვენი ამოცანაა, ქვეყანაში არსებობდეს ორი განსაკუთრებული საგანმანათლებლო კერა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახით, რომლებსაც თანაბარი დატვირთვა ექნებათ ქვეყანაში განათლების მიწოდების თვალსაზრისით."*

ზემოთ აღნიშნული განცხადებები აშკარად მიანიშნებს ხელისუფლების დაინტერესებაზე

[25] შენიშვნა: უნივერსიტეტს მწვავე პრობლემა ჰქონდა აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომლების თვალსაზრისით, არ გააჩნდა ხარისხის უზრუნველყოფის მყარი საფუძვლები და წარმატების გაზომვადი ინდიკატორები, ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფილი შენობაც კი არ ჰქონდა სასწავლო პროცესისთვის.

გააკონტროლოს და შეზღუდოს დამოუკიდებელი აკადემიები და აქტიურად ჩაერიოს უნივერსიტეტების ავტონომიაში.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ, ერთი მხრივ, მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა, უკანონობა და მეორეს მხრივ, ავტორიზაციის პროცესის ინსტიტუციური მოწყობის არსებული მოდელი აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უფრო მეტად პოლიტიკური დაინტერესებით იყო მოტივირებული. ამ ეჭვებს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს მაღალი თანამდებობის პირებისა და განათლების განვითარების ხარისხის ეროვნული ცენტრის კრიტიკული და არადემოკრატიული განცხადებები უნივერსიტეტებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნის უგულებელყოფა და ამით საკუთარი პრაქტიკიდან გადახვევა, კითხვის ნიშნებსაც აღარ ტოვებს მათი გადაწყვეტილების მიზანზე – სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შევიწროებისა და მასზე „მსუსხავი ეფექტი“ საუნივერსიტეტო სფეროზეც გაავრცელონ. სხვაგვარად უბრალოდ ვერ აიხსნება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც დასაბუთების გარეშე, თვითნებურად, ცვლის დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნას მაშინ, როდესაც ისინი არათუ დარღვევებზე, არამედ უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და აშკარა მოწონებას გამოხატევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს ავტორიზაციის სააპელაციო საბჭოს დააკმაყოფილოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჩივარი და აღმოფხვრას ის უკანონობა და თვითნებობა, რომელიც ავტორიზაციის საბჭომ მის პირველად გადაწყვეტილებაში დაუშვა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მისცეს უპირობო ავტორიზაცია.